გენური თერაპია ეფუძნება გენეტიკური მასალის გადატანას (ტრანსფერის) სუბიექტის სპეციფიკურ უჯრედებში და პერსპექტულია მრავალ დაავადებათა სამკურნალოდ. გენეტიკური კრინსტრუქცია, რომელიც გამოიყენება გენურ თერაპიაში, მოიცავს სამ კომპონენტს: (i) საკუთრივ გენს, რომელიც უზრუნველყოფს სპეციფიკური (სამკურნალო, თერაპევტულ) ცილის კოდინირებას, (ii) პლაზმიდური გენის ექსპრესიის სისტემას, რომელიც აკონტროლებს გენის უჯრედის მიზნის შიგნით, და (iii) გენის გადამტან სისტემას, რომელიც აკონტროლებს მთელი ამ კონსტრუქციის მიზანას ორგანიზმის სპეციფიკური დანიშნულების აღვილამდე<sup>1</sup>. გენური თერაპიის განვითარებისათვის და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვისათვის მნიშვნელოვანია მაღალეფების გენური, უსაფრთხო და კონტროლირებადი გენ-გადამტანი სისტემებს შექმნა. ფართოდაა გავრცელებული გენის გადამტანი ვარუსული წარმოშების ვექტორები, რომლებსაც გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები, როგორებაცაა დაბლი დატვირთვის (ანუ შედარებით მცირე რაიღვნობის დნმ-ის შეკაშირების) უნარი, მიწნოვებურობა და ტოქსინურობა, ასევე არასასურველი ვარუსული რეკომბინაცია. აღნიშნული უარყოფითი მომენტების დასაძლევად შემძებელი არავარუსული გადამტანი ვექტორები - სინთეზური დადებითი მუხტის მატარებელი პოლიმერები - პოლიგათონები. პოლიგათონები, ძლიერი ელექტროსტატიკური ურთიერთებების ხარჯზე, სპონტანურად წარმოქმნიან ნაონ-ნაწილაკების ზომის, კომპაქტურ კომპლექსებს პოლიანიონური (ფოსფატური ჯგუფების ხარჯზე) ბუნების დეზოქსინუკლეინის მჟავასთან (დნმ), რომლებიც ხასათდებან ტრანსფერის უნარით. სინთეზურ კოთონურ პოლიმერებს შორის, რომლებიც გამოიცადა გენის გადამტან ვექტორებად, ყველაზე ფართოდა გავრცელებული პოლი-L-ლიზინი (PK), პოლი-L-არგინინი (PR), პოლიეთილენინი (PEI), ამ პოლიმერების სხვადასხვა თანაპოლიმერები. ტრანსფერის აგენტების შემცირების ძირითადი ნაკლია

მათი მაღალილევური ციტოლევსიკურობა. ამიტომ მნიშვნელოვანია აზალი, ეფექტური პოლიმერების შექმნა, რომელთაც ექნებათ უკეთესი წყალში ხსნადობა, იქნებან ბიოდეგრადირებადი და არატოქსიკურები, გააუმჯობესებენ პოლიმერ/დნმ-ის კომპლექსის ფარმაკოგნეტიკურ თვისებებს. ასეთ პოლიმერებად გვესახება წყალში კარგად ხსნადი, ბიოშეთვისგაბადებადი პოლიკათიონური პოლიმერები ბუნებრივი პოლიფუნქციური ამინომჟავა არგინინის საფუძველზე.

ტრანსფექციის უფრო ეფექტური აგენტების შექმნის მიზნით, სხვადასხვა კლასის აქტივირებული ესტერის/კარბონატის პოლიფირდენსაციით ასევე სხვადასხვა აღნაგობის ბის-(L-არგინინ)-ა, ვალკილენ /ლილგოფილენგლიკოლილენ დიესტერებთან, ჩვენს მიერ მიღებულია არგინინის შემცველი სხვადასხვა კლასის პოლიკათიონური პოლიმერი: სამი ტიპის პოლი(ეთერ ესტერ ამიდი) PEEAs-1 (რომელიც შეიცავს ეთერულ ბმებს მხოლოდ ბის-ნუკლეულური მონომერების ფრაგმენტში), PEEAs-2 (რომელიც შეიცავს ეთერულ ბმებს მხოლოდ ბის-ელექტროფილური მონომერების ფრაგმენტში) და PEEAs-3 (რომელიც შეიცავს ფორმულ ბმებს როგორც ბის-ნუკლეულური, ასევე ბის-ელექტროფილური მონომერების ფრაგმენტში), სამი ტიპის პოლი(ეთერ ესტერ ურეთანი) PEEURs-1 (რომელიც შეიცავს ეთერულ ბმებს მხოლოდ ბის-ნუკლეულური მონომერების ფრაგმენტში), PEEURs-2 (რომელიც შეიცავს ფორმულ ბმებს მხოლოდ ბის-ელექტროფილური მონომერების ფრაგმენტში) და PEEURs-3 (რომელიც შეიცავს ეთერულ ბმებს როგორც ბის-ნუკლეულური, ასევე ბის-ელექტროფილური მონომერების ფრაგმენტში), და ერთი ტიპის პოლი(ეთერ ესტერ შარდოვანა) PEEUs (რომელიც შეიცავს ფორმულ ბმებს მხოლოდ ბის-ნუკლეულური მონომერების ფრაგმენტში, ვინაიდან ბის-ელექტროფილურის ფრაგმენტი ამ შემთხვევაში არის ნახშირმჟავას ნაშთი –CO–).

შესწავლილია ზოგიერთი არგინინშემცველი პოლიმერის ჰიდროლინამიკური ქცევა განხავებულ ხსნარებში. შევისწავლეთ ასევე ერთ-ერთი PEEUR-ის ციტოლევსიკურობა (MTT assay) თავის უჯრედებზე 4T1 და დავადგინუთ, რომ აღნიშნული პოლიმერი ხასიათდება გაცილებით დაბალი ტოქსიკურობით ტრანსფექციის ისეთ გავრცელებულ აგენტებთან შედარებით, როგორგიცაა ზემოთ ნახსენები PK, PR და PEI. მივიღეთ ასევე აღნიშნული პოლიმერის ნანოკომპლექსები დნმ-თან ზომით 250-340 ნმ, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, სამჯერ უფრო უფექტურად ახდენენ უკრედების ტრანსფექციას, ვიდრე კონტროლად აღებული Lipofectamin-2000 და LT1(Mirus Reagent).

#### ლიტერატურა:

- Mahato R.I. et al., *Advances in Genetics*, 1999, 41, 95-156.

**AABB-ტიპის პოლიდენაციპტილები - გიოდებრაზირებაზი  
პოლიმერამილების ახალი კლასი**

**ნ. ოჩივიძე, გ. ჯოხაძე, ნ. აროშვილი, რ. ქაცარავა**

სამეცნიერო პოლიმერებისა და ბიომასალების კვლევითი ცენტრი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 77 კოსტავას ქ. თბილისი, 1075



kats@caucasus.net

პოლიდეპსიპტილები (PDP) წარმოადგენენ ბიოდეგრადირებადი პოლიმერების შედარებით ახალ კლასს. PDP-ები მაკრომოლებულების ძირითად ჯაჭვებში შეიცვენ ა-პიროქსი- და ა-ამინომჟავების ნაშთებს (შესაბამისად ესტერულ და ამიდურ ბმებს) და განეკუთვნებიან ა-ამინომჟავების შეცველ პოლიესტერამიდუბის ოჯახს<sup>1</sup>.



ლიტერატურაში აღწერილია AB-ტიპის PDP-ები, რომლებსაც იღებენ ორი ალტერნატული მეთოდით: a) შესაბამისი დი-, ტრი- ან უფრო მაღალი დეპსიპტილების გააქტიურებული ეთერების პოლიკონდენსაციით გამხსნელში<sup>2</sup> და b) ციკლური მონომერების - მორფოლინ-2,5-დიონების პოლიმერიზაციით<sup>3</sup>. სინთეზის პირველი მეთოდი ეფუძნება მრავალსაფეხურიან პეპტიდურ სინთეზს, შესაბამისად რთულია და ძვირი. მეორე მეთოდი კი ეფუძნება მორფოლინ-2,5-დიონების პოლიმერიზაციას ნალლობში კალაორგანული კატალიზატორის თანაბისას; ეს უკანასხველი შევარებით მარტივა და იაფი, თუმცა გამნია რიგი სერიოზული ნაკლოვანებები, რომელთაგან უმთავრესია კატალიზატორად ტოქსიკური კალაორგანული ნაერთების გამოყენება.

გავითვალისწინეთ რა პოლიდეპსიპტილების სინთეზის ორი ცნობილი მეთოდის ურთოვთით მხარეები, ჩვენ შევიტარებეთ მესამე მიდგომა, რომელიც თავისუფალია ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისაგან და რომელსაც მივყავართ ახალ, AABB-ტიპის PDP-ების სინთეზთან.

**AABB-PDP**-ების სინთეზისათვის საკანო ბის-ელექტროფილურ მონომერებად შევარჩით გააქტიურებული და-პ-ნიტროფენილის ესტერები O,O'-ადიპინილ-ბის-გლიკოლის მჟავას (**II,y=4**) და O,O'-სებაცოილ-ბის-გლიკოლის მჟავას (**II,y=8**) საფუძველზე.



I, y = 4 და 8




**II, y = 4 და 8**

შუალედური დიესტერ-დიმერები (**I**) დავასინთეზეთ ადაპოლქლორიდის ( $y=4$ ) და სებაცოილქლორიდის ( $y=8$ ) ურთიერთშედებით გლიკოლის მეჯავასთან ეთო-ლაცეტატის არეში პირიდინის თანაობისას.

გააქტიურებული დიესტერების, **II**-ის, ბის-ნ-ჟელოფილური პარტნიორები - ბის-(L-ჟენიცინ,  $R=\text{CH}_2\text{CH}(\text{CH}_3)_2$ ) და ბის-(L-ჟენილალანინ,  $R=\text{CH}_2\text{C}_6\text{H}_5$ ) 1,8-ოქტიოლენ ( $x=8$ ) და 1,12-დოლეგამეთოილენ ( $x=12$ ) დიესტერების და-კ-ტოლუოლსულფომეტა-გას მარილები (**III**) დავასინთეზში რიგორც აღრე იყო აღწერილი<sup>1</sup>.

**AABB-PDP**-ის სინთეზი მოვახდინეთ (**II**) და (**III**) მონომერების პოლიკონდენსაციით დიმეთილაცეტამიდის არეში, შემდეგი სქემის შესაბამისად:



შედეგად მივიღეთ მაღალმოლუკულური პოლიმერები ( $M_w=32.000-52.500$ ) საკ-მაოდ ვიწრო მოლეკულურ-მასერი განაწილებით ( $M_w/M_n=1.36-1.48$ ). აღსანიშნავია, რომ ახალი სქემის მიხედვით დეპსიპეტიდური ფრაგმენტების ჩამოყალიბება ხდება უშუალოდ პოლიკონდენსაციის პროცესში.

**AABB-PDP**-ის ძირითად ჯაჭვებში ამონომერების არაკანონიკური (“თავი-თავთან” და “კუდი-კუდთან”) ორიენტაციისა და ესტერული ბმბის მაღალი კონცენტრაციის გამო მოსალოდნელია პოლიმერების დაბალი იმუნოგენურობა და გაზრდილი ბიოდეგრადაციის სჩექარე.

#### ლიტერატურა:

- (a) Arabuli N., Tsitlanadze G., Kharadze D., Goguadze Ts., Beridze V., Gomurashvili Z., Katsarava R. *Makromol. Chem. Phys.*, 1994, 195, 2279. (b) Katsarava R., Arabuli N., Beridze V.,

- Kharadze D.P., Chu C.C., Won C.Y., *J. Polym.Sci.:Part A: Polym.Chem.*, 1999, 37, 1, 391.
2. (a) Ridge B., Rydon H.N., Snell C.R., *J.Chem.Soc., Perkin I*, 1972, 2041. (b) Goodman M.J., *J.Polym.Sci., Polym.Symp.*, 1978, 62, 173. (c) Yoshida M., Asano M., Kumakura M., *Makromol. Chem. Rapid Commun.*, 1990, 11, 337.
3. (a) In't Veld P.J.A., Shen Z.R., Takens G.J.A. et al., *J.Poly.Sci., Part A: Polym.Chem.*, 1994, 32, 1063. (b) Barrera D.A., Zylstra E., Lansbury, et al., *J.Am.Chem Soc.*, 1993, 115, 11010. (c) Elisseeff J., Anseth K., Langer R., Hrkach J.S., *Macromolecules*, 1997, 30, 2182.

გუნდებით ამინომჟავების საფუძველზე მიღებული ბიოდე-  
ბრაზილებაზე კოლიმერების პალორიმეტრული კვლევა

**მ. დგგბუაძე, დ. ტუდეში, ნ. ნადირაშვილი, რ. ქაცარავა**

სამუდაბინო პოლიმერებისა და ბიომასალების კვლევითი ცენტრი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

77 კასტავის ქ. თბილისი, 0175


kats@caucasus.net

სინთეზური პოლიმერები ბუნებრივი ა-ამინომჟავების საფუძველზე (AABBP), რომელიც წარმოადგენს ბიოდეგრადირებადი მასალების შედარებით ახალ ოჯახს, პერსპექტულია მრავალიციტებული სამედიცინო გამოყენებისათვის მათი ფიზიკურ-ქიმიურ, ბიოქიმიურ და მექანიკურ თვისებათა ფართო სპექტრის გამო<sup>1</sup>. ცოტა ხნის წინ გამოქვეწნებული მონაცემები<sup>2</sup>, რომელშიც პოლიმერების მაგალითზე ნაჩვენებია ამ ოჯახის ბიოდეგრადირებადი პოლიმერების მაღალი ბორშეთავსებადობა, რომელიც მნიშვნელოვნად აღმატება ბიოდეგრადირებადი პოლიმერების სხვა, კომერციულად უკვე წარმატებულ კლასებს (პოლიგლიკო-ლიდი, პოლილაქტიდი, მათი თანაპოლიმერები და სხვ.), კიდევ უფრო ფართო გზას უხსნან ამ უნიკალური პოლიმერების პრაქტიკულ გამოყენებას<sup>3</sup>.


AABBP-ს პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია მათი თბოფიზიკური თვისებების ცოდნა, რაც საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად განვსაზღვროთ პოლიმერის გადმუშავების პირობები, მასალების გამოყენების სფერო, შევაფასოთ კომპოზიციური ნარევების ერთგვაროვნება და სხვ. ამ პოზიციებიდან ჩევნენ მიერ ჩატარებულია სხვადასხვა კლასის AABBP-ს კალორიმეტრული კვლევა. ვსწავლობდით პოლიმერების მყარ ნიმუშებს დიფერენციალური მასკანირებელი კალორიმეტრის NETZSCH DSC 200 PC PHOX (გერმანია) გამოყენებით.

პოლიესტერამიდები. ამ კლასის პოლიმერები შედგება სამი ვარირებადი საშენი ბლოკებისაგან—ა-ამინომჟავას, ალიფატური დიკარბომჟავასა და დიოლისაგან. ჩავა-ტარეთ ორი ამინომჟავას—L-ლისინისა და L-ფენილალანინის საფუძველზე მი-ლებული სხვადასხვა აღნაგობის პოლიესტერამიდების კალორიმეტრული კვლევა. ნაჩვენებია, რომ L-ლისინის საფუძველზე მიღებული პოლიმერები არ კრისტალდებიან და მათ აქვთ ამორფული სტრუქტურა. L-ფენილალანინის საფუძ-ველზე მიღებული პოლიმერები კი სარგაჟციო სნინარებიდან გამოყოფის (გამო-ლეჭვა წყლებში ან ორგანული ბუნების დამლეჭავში, მაგალითად, ჰიოლაცეტატში) ან ორგანული გამსხველიდან ფირწარმოქნის პრიცესში ნაწილობრივ კრისტალდებან (წარმოქმნას სეკონდსტალურ სტრუქტურებს). აღნიშვნული პოლიმერების კრისტალური ფაზები ღლვება ტემპერატურულ ინტერ-გალში 100-110°C. გაღლობის შემდეგ პოლიმერების ხელახალი კრისტალიზაცია არ შეიმჩნევა (ნახ. 1-ზე ნიმუშად მოყვანილია პოლიესტერამიდ 4-F-4-ის თერ-მოგრამები — პირველი სკანი და მეორე სკანი გაცივების შემდეგ). ამგვარად,

L-ფენილალანინის საფუძველზე მიღებული პოლიესტერამიდები ლილობის შემდეგ ინარჩუნებენ ამორფულ მდგრამარეობას. ეს სასურველი გარემოებაა იმ შემთხვევებში, როდესაც სასურველია პოლიეტერული ნაკეთობის ბიოდეგრადაციის სიჩქარის გაზრდა (ცნობილია, რომ ამორფული ფაზა უფრო სწრაფად განიცდის ბიოდეგრადაციას, ვიდრე კრისტალური).



ნახ. 1. 4-F-4-ის თერმოგრამები: [1] - პირველი სკანი, [2] - მეორე სკანი. 4-F-4 - პოლიესტერამიდი ადიკანის მჯავას, L-ფენილალანინის და 1,4-ბუტანიօლის საფუძვლზე.



ნახ. 2. 1-L-6-ის თერმოგრამები: [1] - პირველი სკანი, [2] - მეორე სკანი. 1-L-6 - პოლიესტერშარდოვანა L-ლიგიცინის და 1,6-ჰექსანდიოლის საფუძვლზე.

პოლიესტერშარდოვანები. ეს პოლიერები შედგება სამი საშენი ბლოკისგან, რომელთაგანაც ორი— $\alpha$ -ამინომჟავა და დიოლი არის ვარირებადი, ხოლო მესამე - ნანმინმჟავას ნაშთი (CO) საერთოა ამ კლასის ყველა პოლიმერისათვის. ჩავტარეთ ორი ამინომჟავას – L-ლიგიცინისა და L-ფენილალანინის საფუძველზე მიღებული სხვადასხვა აღნაგობის პოლიესტერშარდოვანების კალორიმეტრული კვლევა. დავდგინეთ, რომ პოლიესტერამიდებისგან განსხვავებით, პოლიესტერ-შარდოვანები L-ლიგიცინის საფუძველზე არის სემაკრისტალური პოლიერები, რომელთა კრისტალური ფაზები ლილება  $120\text{--}130^\circ\text{C}$  ინტერვალში, ამასთან, ეს პოლიერები ლილობის შემდეგ განიცდიან რეკრისტალიზაციას (ნახ. 2-ზე ნიმუშად მოყვანილია პოლიესტერშარდოვანას 1-L-6-ის თერმოგრამები – პირველი სკანი, რომელზეც დაიმზირება მხოლოდ ლილობის ენდოთერმა  $\sim 125^\circ\text{C}$  უბანში და მეორე სკანი, რომელზეც დაიმზირება კრისტალიზაციის ეზოთერმა  $\sim 68^\circ\text{C}$  უბანში და განმეორებითი ლილობის ენდოთერმა  $\sim 120^\circ\text{C}$  უბანში). ასეთი რეკრისტალიზებადი პოლიერები შეიძლება რეკიმენდირებული იქნეს, მაგალითად, ბოჭკის (სადაც ლილობის შემდეგ რეკრისტალიზაცია აუცილებელია ბოჭკის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად), ასევე მაღალი მექანიკური სიმტკიცის მქონე ნაკეთობების მისაღებად და სხვ.

#### ლიტერატურა:

- Katsarava R., Gomurashvili Z. Biodegradable polymers composed of naturally occurring  $\alpha$ -amino acids, Handbook of Biodegradable Polymers, Wiley-VCH (in press).
- DeFife K. M., Grako K., Cruz-Aranda G., Price Sh, Chantung R., Macpherson K., Khoshabeh R., Gopalan S. Turnell W.G. J. Biomat. Sci., 2009, 20, 1495.

## UNSATURATED BIODEGRADABLE POLY(ESTER-AMIDE)S COMPOSED OF FUMARIC ACID, L-LEUCINE/L-PHENYLALANINE AND A, $\Omega$ -ALKYLENE DIOLS

E. Chkhaidze, D. Kharadze, D. Tugushi, R. Katsarava

Institute of Medical Polymers and Materials, I. Javakhishvili Tbilisi State University,  
Research Centre for Medical Polymers & Biomaterials, Georgian Technical University,  
kats@caucasus.net

$\alpha$ -Amino Acid Based (**AAB**) Poly(Ester Amide)s (**PEAs**) are relatively new class of biodegradable biomaterials<sup>1,2</sup>. Besides the diversity in material properties, they have shown good biocompatibility<sup>3,4</sup> that makes PEAs highly attractive for biomedical applications. The presence of pendant lateral functional groups along the **PEA** backbone suitable for a wide range of chemical modifications could substantially expand the scope of biomedical applications of this polymer family. One of the most convenient and universal ways to render biodegradable polymer functional is the incorporation of unsaturated double bonds in the polymeric backbones<sup>5</sup>.

The purpose of this research was a systematic study of the synthesis of L-leucine (**L**) and L-phenylalanine (**F**) based high molecular weight soluble biodegradable poly(ester-amide)s (**PEAs**) containing unsaturated double bonds in the polymeric backbone. Di-p-tolunesulfonic acid salts of bis-(leucine/phenylalanine)- $\alpha,\omega$ -alkylene diesters and di-p-nitrophenyl fumarate were used as key monomer for constructing unsaturated **PEAs**, and solution active polycondensation was used as a synthetic method [6]. Three types of unsaturated polymers were reported in this work – (i) unsaturated poly(ester-amide)s (**UPEAs**) composed of 100% of fumaric acid and one amino acid (**L** or **F**), (ii) unsaturated-saturated co-poly(ester-amide)s (**USPEAs**) composed of various feed ratios of fumaric acid and saturated fatty acids e.g. sebacic acid, and (iii) unsaturated co-poly(ester-amide)s (**coUPEAs**) composed of 100% of fumaric acid and two amino acid (**L** and **F**). The unsaturated polymers soluble in organic solvents like chloroform, THF, etc. were obtained as a result of the performed systematic study. These polymers can be processed into different shapes and subjected various chemical and photochemical transformations that substantially expand the scopes of their application as absorbable surgical devices and sustained, controlled drug eluting systems.

### References:

1. Katsarava R., Beridze V., Arabuli N., Kharadze D., Chu C.C., Won C.Y., *J. Polym. Sci.: Part A: Polym. Chem.*, 1999, 37, 391.
2. Katsarava R. Active Polycondensation – from peptide chemistry to amino acid based biodegradable polymers, In: H.R.Kricheldorf (Ed.), "Polycondensation 2002", *Macromolecular Symposia*, 199, P. 419-429, Wiley-VCH, September, 2003.
3. Lee S.H., Szinai I., Carpenter K., Katsarava R., Jokhadze G., Chu C.C., Huang Y., Verbeken

- E., Bramwell O., De Scheerder I., Hong M.K.. *Coronary Artery Disease*, 2002, 13, 4, 237.
4. Markoishvili K., Tsitlanadze G., Katsarava R., Morris J.G., Sulakvelidze A. *Intern. J. Dermatology*, 2002, 41, 453.
5. Lou X., Detrembleur C., Lecomte P., Jerome R., *e-Polymers*, 2002, No. 034.
6. Guo K., Chu C. C., Chkhaidze E., Katsarava R., *J. Polym. Sci. Part A: Polym. Chem.* 2005, 43, 1463.

ახალი გიოდებრადირებაზი კოლიესტერამიღები  
გის-აზლაზტონების საჟუმპელზე

ს. ქობაური, ნ. ზავრადაშვილი, რ. ქაცარავა

ბიოსამუდიცინი პოლიმერებისა და ბიომასალუბის კვლევითი ცენტრი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

kats@caucasus.net


ბის-აზლაქტონები წარმოადგენენ მაღალ რეაქციისუნარიან, ბის-ელექტროფილურ მონომერებს ა-ამინომჟავების საჟუმპელზე (მიღება N,N'-ტერეფთალოილ-ბის-ა-ამინომჟავების ციკლიზაციით). ბის-აზლაქტონები ურთიერთქმედებენ ცნობილ ბის-ნუკლეოფილებთან - ალიფატურ დიამინებთან რბილ პარობებში თანამდე დაბალმოლეკულური პროდუქტების გამოყოფის გარეშე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია სამედიცინო დანიშნულების პოლიმერების სინთეზის თვალსაზრისით, ვინაიდან ამცირებს თანამდე პროდუქტებით პოლიმერის დაბინძურების ხარისხს.

წინა კვლევებში სხვადასხვა აღნაგობის ბის-აზლაქტონის ურთიერთქმედებით ჰქესამეთილენიდამინთან დავასინთეზეთ მაღალმოლეკულური პოლიამიდები<sup>1</sup>, რომელიც ხასათდებოინ კარგი მექანიკური თვისებებით და მაღალი ბიოშეთავებადობით, მაგრამ ძალზე დაბალი ბიოდეგრადაციის სიჩქარით. ეს განპირობებული იყო ამიდური ბმების მაღალი მდგრადობით ფერმენტაციალიზური ჰიდროლიზის მიმართ. ამიტომ, პოლიმერების ბიოდეგრადაციის გაზრდის მიზნით, გადავწყვიტეთ მაკრომოლეკულების ძირითად ჯაჭვებში შეგვევანა ჰიდროლიზურად გაცილებით უფრო ლაბილური ესტერული ბმები.

დასახული მიზნის განსახირციელებლად ალიფატური დიამინების ნაცვლად გა-დავწყვიტეთ ბის-ნუკლეოფილურ მონომერებად გამოგვეყნებინა ბის-(ა-ამინო-მჟავა)-ა, ვ-ალკილენ დიესტერების და-პ-ტოლურილსულფომჟავას მარილები, რომლებიც მოლეკულებში შეიცავენ ესტერულ ბმებს და წარმატებით იყო გამო-ყენებული სხვადასხვა კლასის ბიოდეგრადირებადი ჰეტეროჯაჭვური პოლიმერე-ბის მისაღებად<sup>2</sup>.

მიზნობრივი პოლიმერების სინთეზი განვახორციელეთ ზემოთ მოყვანილი ზოგადი სქემის შესაბამისად. არჩევანი შევაჩერეთ ორ ბის-აზლაქტონზე ამინო-მჟავების გაღინინის ( $R=CH(CH_3)_2$ ) და ფენილალანინის ( $R=CH_2C_6H_5$ ) საფუძ-ველზე და ერთი ბის-ნუკლეოფილზე ლევიცინის და 1,12-დოდეკამეთილენდიო-ლის საფუძველზე.

თავდაპირველად დავასინთეზეთ ჰიმოპოლიესტერამიღები მხოლოდ ბის-აზლაქტონების საფუძველზე ( $k=0$ ,  $I=0$ ). სინთეზი ჩავატარეთ  $0-20^{\circ}C$ -ზე, დიმეთილაცე-ტამდის არზე ტრიეთილამინის, როგორც პ-ტოლურილსულფომჟავას აქცეპტო-რის, თანაობისას. მიღებულ პოლიმერებს აღმოაჩნდა დაბალი მოლეკულური მასა



( $\eta_{\text{და}} = 0.19 \text{ დლ/გ}$ ) და მწირი სამასალე თვისებები, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია აზლაქტონების თანამდე რეაქციით ტრიეთოლამინთან, რაც ოწვევს აზლაქტონური ჯგუფის დაღუპვას და მაკრომოლეკულის ჯაჭვის ზრდის შეჩერებას<sup>3</sup>.

მოლეკულური მასების გაზრდისა და სასურველი სამასალე თვისებების მქონე პოლიესტერამიდების სინთეზის მიზნით სინთეზის პროცესში ბის-აზლაქტონების თანამონომერად ჩავრთეთ ცნობილი მონომერი - დი-პ-ნიტროფენოლსებაციატი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა მაღალმოლეკულური ბიოდგრადირებადი პოლიესტერამიდების მისაღებად<sup>2</sup>.

ბის-აზლაქტონების და აქტივირებული დიესტერის მოლური თანაფარდებების გარირებით (0.5/0.5, 0.3/0.7, 0.1/0.9 ბის-აზლაქტონი/დი-პ-ნიტროფენოლსებაცინატი) მივიღეთ მაღალმოლეკულური პოლიესტერამიდები ( $\eta_{\text{და}} = 0.20 \text{ დლ/გ}, 1.14 \text{ დლ/გ}, 1.44 \text{ დლ/გ}$ ), რომლებიც ხასიათდებან კარგი ფირწარმოქმნის უნარით. მიღებული პოლიესტერამიდები დაგახსაიათეთ კელვინის სტანდარტული მეთოდებით (ფურიე ი-ს-სპექტროსკოპია, ბმრ-სპექტროსკოპია, დიფერენციალური კალორიმეტრია). პოტენციომეტრული ტიტრაციის ავტომატური მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ დასინთეზებული პოლიესტერამიდებების განვითარებას.

რების ფერმენტებით ( $\alpha$ -ქიმოტირიფსინი და ლიპაზა) კატალიზირებული ბიოდეგრადაცია ცდებში *in vitro*.

**ლიტერატურა:**

1. Katsarava R., Kharadze D., Kirmelashvili L. et al., *Acta Polymerica*, 1985, 36, 29.
2. Katsarava R., Gomurashvili Z. Biodegradable polymers composed of naturally occurring a-amino acids, *Handbook of Biodegradable Polymers*, Wiley-VCH (in press).
3. Cleaver C.S., Pratt B.C., *J.Amer.Chem.Soc.* 1955, 77, 1541.

სხვადასვეა ბუნების შემპსებების კონცენტრაციის ბაზლენა  
კოლიკარბონატის ბაზაზე შემუშავებული  
კომპოზიტების სიმტკიცეზე

დ. გვენცაძე, ჟ. კოვზირიძე, ლ. გვენცაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

69 კოსტავას ქ., თბილისი, 0175, საქართველო

david\_gven@mail.ru

შესწავლილია პოლიკარბონატის ბაზაზე შემუშავებული კომპოზიტების სიმტკიცის დამოკიდებულება სხვადასხვა ბუნების შემცვების კონცენტრაციისა- გან, როგორიცაა: გრაფიტი, მოლიბდენის დისულფიდი, მინაბოჭვი, გრაფიტის ბოჭკო, რკინის, კობალტის, ნიკელის და ვოლფრამის ფხვნილები. ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი სახის შემცვების კონცენტრაციის ზრდა იწვევს კომპოზიტის სიმტკიცის გაზრდას კუმშვისას და მათი ბუნებიდან გამომდინარე ფიქსირდება სიმტკიცის მაქსიმუმები სხვადასხვა კონცენტრაციებზე. კომპოზიტების კუთრი დარტყმითი სიმტკიცის შესწავლამ აჩვენა მისი მაჩვენებლების სწრაფი ვარდნა გრაფიტის, მოლიბდენის დისულფიდის და რკინის ფხვნილებით შეცვებისას (10 მას.%). გამოვლინდა კობალტის, ნიკელის და ვოლფრამის ფხვნილებით შეცე- ბული კომპოზიტების თავისებურებანი. ამ ლითონებით 10-30 მას.% შევსებამ არ გამოიწვია მათი დარტყმითი სიბლანტის ვარდნა, იგი ისეთივე მაღალია (120- 150 კჯოული/მ<sup>2</sup>-ის ფარგლებში), როგორც შეუცხებული პოლიკარბონატის, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დარტყმამამდებ პოლიმერი თერმოპლასტიკურ პოლიმერებს შორის. მიღებულმა შედევებმა გააუმჯობესა პოლიკარბონატის ბალისტიკური თვისებებიც.

**ლიტერატურა:**

1. Гвенцадзе Д.И., Анели Дж. Н., Мамасахлисов И. Г., Каверкин И.П. Пласт.массы, 1988, 3, 31-32.
2. Коробко А.П., Крашенинников С.В., Левакова И.В., Озерина Л.А., Чвалун С.Н. Высокомолек. соед., А. 2001, 43. 11, 1984-1992.

პოლი-N,N'-ტერეფთალოილ-N-მეთილპიდრაზიდ-1,3,4-ოქსადიაზოლების შეცვალებულის ტერმინის უნივერსიტეტი, 77 ქოსტავას ქ., თბილისი, 0175,  
საქართველო

დ. ბიბილეშვილი<sup>1</sup>, ნ. ორმოცაძე<sup>2</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 77 ქოსტავას ქ., თბილისი, 0175,

საქართველო

d-bibileishvili@rambler.ru


<sup>2</sup> აკაკი წერეთლის სახლობის უნივერსიტეტი, 59 თამარ მეურის ქ. ქუთაისი 4600

პოლი-N,N'-ტერეფთალოილ-N-მეთილპიდრაზიდ-1,3,4-ოქსადიაზოლების შეცვალების მნიშვნელოვანია, ამ ბოჭკოსწარმომქნეცლი თანაპოლიმერის, თერმული თვისებების შესწავლა. სხვადასხვა რგოლის შემცველი პოლიმერების თერმომედევებია, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევი თანაპოლიმერები, მნიშვნელოვნადა დამოკიდებული ჰაკრომოლეპულის ჯაჭვში უფრო “სუსტი” ფრაგმენტების თერმულ მდგრადობაზე<sup>1</sup>.

პოლი-N,N'-ტერეფთალოილ-N-მეთილპიდრაზიდ-1,3,4-ოქსადიაზოლების თერმომედევების დასადგონად შევასწავლეთ პოლი-ნ,ნ-ტერეფთალოილ-N-მეთილპიდრაზიდის, პოლი-N,N-ფენილენ-1,3,4-ოქსადიაზოლების და მათი თანაპოლიმერების თერმომდგრადობები. დინამიური თერმოგრავიმეტრული ანალიზი არგონის არეში გვიჩვენებს, რომ თანაპოლიმერების თერმომდგრადობას განსაზღვრავს - მეთილპიდრაზიდული ფრაგმენტების შემცველობა<sup>2,3</sup>.

ამ პოლიმერების დინამიური და დიფერენციალური თერმოგრავიმეტრული ანალიზის თანაბმად თანაბარ პირობებში პოლი-N,N-ტერეფთალოილ-N-მეთილპიდრაზიდი იწყებს დაშლას 330 °C. ამ დროს სხდება მოლეკულათშორისი დეპიდრატაცია. ინტენსიურად მასის კარგვა მიმდინარეობს 380 °C ათავით პირდუქტების CO<sub>2</sub>, CO, N<sub>2</sub>, CH<sub>4</sub>, H<sub>2</sub>, გამოყოფით. პოლი-N,N-ფენილენ-1,3,4-ოქსადიაზოლი კა უფრო მაღალ ტემპერატურაზე 400-450 °C იწყებს დაშლას. საკვლევი პოლიმერების დესტრუქციის შედეგად გამოყოფილი აირების შედეგნილობაში, მთელ შესწავლით დააპაზონში ერთი და იგივე აქტიულადი ნივთიერებებია, მხოლოდ განსხვავება სხვადასხვა შედეგნილობის პოლიმერებისათვის მათ რაოდენობებშია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს განსხვავება ზემოხსენებული პოლიმერების კვაზიიზოთერმულ რეჟიმში (Q-თვა) დესტრუქციის დროს. დადგინდა, რომ Q-თვა პირობებში 380 °C-ზე მასის ფარდობით დანაკარგი დამოკიდებულია N-მეთილპიდრაზიდული ფრაგმენტების შემცველობაზე მაკრომოლეპულებში და იკლებს მათი შეტერების შესაბამისად ნახ.1.

ზემოხსენებულის საფუძველზე დადგინდი იქნა N-მეთილპიდრაზიდული ფრაგმენტების “ეფექტური მასა” და მიღებული შედეგებით განისაზღვრა მათი შემცველობა თანაპოლიმერში. ეს შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული,



ნახ.1. პოლიმერების თერმოგრავიმეტრული (Q-თვა) ანალიზის მრუდები:

1. პოლი-N,N'-ტერფუტალოიდ-N-მეთილპირაზიდი; 2,3,4—სხვადასხვა შედგენილობის თანაპოლიმერი;
5. პოლი-N,N'-უნილენ-1,4-ოქსადიაზოლი.

როგორც ამ პოლიმერების საფუძველზე შექმნილი ბოჭკოების ქიმიური შედგენილობის კონტროლის მეთოდი, მათი მიღების სხვადასხვა ტექნოლოგიურ სტადიაზე ასეთი ინფორმაცია გადაწყვეტს, სინთეზის პროცესში ბოჭკოსწარმომქმნელი თანაპოლიმერის, ქიმიური სტრუქტურის მიმართული რეგულირების საკითხს.

#### ლიტერატურა:

1. Коршак В.В. Химическое строение и температурные характеристики полимеров М., Наука, 1970, 419.
2. Копшак В.В., Хомутов В.А., Берестнева Г.Л., Брагина И.П. Ж. Высокомол. соединения, 1973, 15, 12, 2662-2668.
3. Брагина И.П., Копшак В.В., Берестнева Г.Л., Виноградова С.В., Тур Д.Р., Хомутов В.А., Крылова В.В. Ж. Высокомол. соединения, 1976, 18, 10, 2318-23-23.

ა,ო-ბის(ამინოდიმეტილისილილ)ციკლოდისილილაზანების ჰეტეროციკლური კონდენსაცია ჰერეზთალის მშეგის ძლიერანებიდრიდთან და ა,ო-ბის (β-კარბომესილეთილ)- დიმეთილისილომესაციან

**ო. ჯანიშვილი,<sup>1</sup> გ. ანდრონიკაშვილი,<sup>2</sup> მ. ღალოლიშვილი<sup>2</sup>**

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი,

№3 ი. ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, საქართველო,

agro@tesau.edu.ge


<sup>2</sup> ი. გოგებაშვილის სახლობის თელავის სახლმწიფო უნივერსიტეტი,

1 ქართული უნივერსიტეტის ქუჩა, თელავი 2200, საქართველო

მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის მნიშვნელოვანი ამოცანაა გადამუშავების უნარის მქონე თერმომდგრადი პოლიმერების სინთეზი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა თანაპოლიმერები მაკრომოლეკულის ჯაჭვში ორგანოციკლოდისილიზნის ფრაგმენტებით.

თერმომდგრადი სიპოლიმერების მიღების მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა ჰეტეროფუნქციური კონდენსაცია ა,ო-ბის(ამინოდიმეტილისილილ)ციკლოდისილილაზანებისა 1) ტერუფთალის მჟავის ქლორანპიდრიდთან (სქემა I); 2) ა,ო-ბის(β-არბოქსილეთილ)დიმეთილისილოქსანთან (სქემაII).


**სქემა 1.**



სინთეზირებული სოპოლიმერები ღია ფერის, ფხვნილისებრი ნივთიერებებია, კარგად იხსნებიან ორგანულ გამსხნელში. მათი შემადგენლობა და აღნაგობა დადგენილ იქნა ელემენტური ანალიზით და ინფრაწითელი სპექტროსკოპიით.

სოპოლიმერების ინფრაწითელ სპექტრში შეიმჩნევა ციკლოდისილაზანის ფრაგ-მენტისათვის დამახასიათებელი შთანთქმები  $870\text{-}890 \text{ სმ}^{-1}$  და  $1010\text{-}1040 \text{ სმ}^{-1}$  უბნებში, აგრეთვე შთანთქმა  $1260 \text{ სმ}^{-1} (\text{Si}-\text{CH}_3)$ ,  $1660 \text{ სმ}^{-1} (\nu_{\text{C=O}})$ , არომატული ბირთვის C-C ბბების ვალენტური რხევებისათვის დამახასიათებელი შთანთქმა  $1600 \text{ სმ}^{-1}$ , შთანთქმა  $3310 \text{ სმ}^{-1} (\nu_{\text{NH}})$ .

შესწავლილ იქნა სინთეზირებული სოპოლიმერების თერმული მდგრადობა. თერმოგრავიმეტრული ანალიზის მონაცემებით დადგინდა, რომ მასის დანაკარგი  $300^{\circ}\text{C}$ -ზე არ აღმატება  $3\%$ -ს.



სადაც  $m=10, n=1$  (III);  $m=28, n=1$  (V),  $n=2$  (VI)

## სქემა 2.

სინთეზირებულია ექვსი სოპოლიმერი, ისინი ღია ფერის, კაუჩუკისმაგვარი ნივთიერებებია, კარგად იხსნებიან დმტა-ში და N-მეთილპიროლიდონში, ახასიათებთ ბოჭკისა და აფსის წარმოქმნის უნარი. ისინი ძირითად ჯაჭვში შეიცავენ მოქნილ სილოქსანისა და ციკლოდისილაზანის ფრაგმენტებს. განსხვავებული სტრუქტურული რგოლების თანაფარდობა ჯაჭვში გავლენას ახდენს მიღებული სოპოლიმერების ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე, უპირველეს ყოვლისა, მათ თერმომექანიკურ თვისებებზე.

სინთეზირებული სოპოლიმერების აღნაგობა დადგენილ იქნა იწ სპექტრების დახმარებით.

**ლიტერატურა:**

1. Белгийский патент №665774. 1965.
2. Английский патент №1171786. 1969.
3. Khananashvili, L.M., Akhobadze R.Sh., Sesuria J.M. Eighth International Symposium of Organosilicon Chemistry. Marsarburg, DDR, 1987, 1, p 87.

## **COMB-TYPE SILICONORGANIC COMPOUNDS WITH EPOXY GROUPS IN THE SIDE CHAIN**

**O. Mukbaniani\*, T. Tatrishvili, M. Doroshenko**

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, I. Chavchavadze Av., 1, 0128 Tbilisi, Georgia*

*omarimu@yahoo.com*

Hybrid organic-inorganic materials, where molecular organic and inorganic fragments are com-bi-ned, have been considered potentially attractive for the purpose of developing new materials with a broad spectrum of interesting properties. In comparison with organic and inorganic con-stituents and polymers separately, hybrid organic-inorganic materials have a lot advantages.

Polysiloxanes, usually referred to as silicones, find numerous applications in different fields of chemistry and engineering. All of these applications rely on the unique physical and chemical properties of silicones in the bulk form and at interfaces. Widely applied and recently explored hydrosilylation of polymeric systems<sup>1,2</sup> and especially hydrosilylation curing of polyvinylsiloxanes by polyhydrosiloxanes have attracted great interest due to the practical outcome and re-cent development in silicon-containing polymeric systems. From above mentioned it is evident that synthesis and investigation of new polysiloxanes with double bond containing fragments attracts much attention due to their wide applications.

The hydrosilylation process is the most widely used method for preparation of organofunctional polymethylsiloxanes starting from poly-(me-thyl-hydro)siloxanes. During hydrosilylation reactions of poly-(me-thyl-hydro)siloxane with allyl or vinyl containing compounds, partial gelation with obtaining 3D systems takes place, causing the decrease in the yield. But generally the hydrosilylation reaction does not proceed completely with conversion of all active  $\equiv\text{Si}-\text{H}$  bonds and various linked oligomers are obtained.

It's known<sup>3,4</sup> that hydrosilylation reaction of poly-(me-thyl-hydro)siloxane with allyl glycidyl ether in the presence of platinum hydrochloric acid or Pt/C did not proceed with complitelly and during hydrosilylation 3D systems are obtained. Sometimes there are obtained various linked systems, containing unreacted  $\equiv\text{Si}-\text{H}$  bonds which negatively influence on the properties of obtained polymer electrolytes.

Presented research contains two directions in organosilicon chemistry: 1) synthesis of initial monomer type organocyclotetrasiloxanes with same or different attached groups via hydrosilylation reactions of 2,4,6,8-tetrahydro-2,4,6,8-tetramethylcyclotetrasiloxane with allyl glycidyl ether in the presence of platinum hydrochloric acid or Pt/C; 2) polymerization or co-polymerization reactions of obtained organocyclo-tetrasiloxanes with hexa-orga-nodisiloxanes as a terminat-

ing agent (TA) for obtaining of comb-type polymers with regular arrangement of various allyl glicidyl side groups.

The optimal condition of hydride addition reaction, concentration of the solution, the reaction temperature has been determined. The reaction order, activation energy and hydride addition rate constants were found. In the case of platinum hydrochloric acid, hydride addition proceeds with inductive period, and faster than in case of the catalyst platinum on the carbon Pt/C.

The reactions of primary and secondary amines with epoxy groups containing organosiloxanes were carried out and comb-type organosiloxanes with aminohydroxyl groups in the side chain have been obtained. After protonation of amino nitrogen groups in the side chain water soluble organosiloxane oligomers were obtained.

The structure of all synthesized comb-type organosiloxanes were determined by FTIR,  $^1\text{H}$  and  $^{13}\text{C}$  NMR spectra data.

#### References:

1. Ohyanagi M., Kanai H., Katayama Y., Ikeda K., Sekine Y. *Polymer Communications*, 1985, 26, 249.
2. Mukbaniani O., Zaikov G., Pirckheliani N. , Tatrishvili T., Meladze S., Pachulia Z., Labartkava M.. *Journ. Applied Polymer Science*, 2007, 103, 3243.
3. Mukbaniani O.V., Scherf U., Gurgenidze G.N., Karchkhadze M.G., Meladze S.M., Khananashvili L.M. *In-tern. Journ. of Polymeric Materials*, 2001, 48, 3, 267.
4. Mukbaniani O.V., Tatrishvili T.N., Zaikov G.E. The book, «Modification Reactions of Oligomethyl-hydridesiloxanes». Nova Science Publisher, Inc. Huntington, New York, 2007, pp. 1 -228.

კულტურული განვითარების მინისტრის მიერ



**პუნებრივი კოლიმერების ახალი ნაწარმების სითხეზე და  
მათი გამოყენება ენანციომერული ნარევების დასაყოფად  
სითხურ ქრომატოგრაფიაში**

**ბ. ჭანკვეტაძე**

ი. ჯავახიშვილის სხელობის მიმღების სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ჭავჭავაძის პრ. 3, 0179 მთიანი, საქართველო,

*bezhan\_chankvetadze@yahoo.com*

ენანციომერული ნარევების დაყოფა თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ პრიბოლებას წარმოადგენს. ქირალური ნივთიერებების ენანციომერული ცოცხალ ორგანიზმებზე, როგორც წესი, კანსხავებული ბიოლოგიური მოქმედებით ხასიათდებან. უძრავლეს შემთხვევაში ერთი ენანციომერი უფრო მაღალი ბიოლოგიური ეფექტით ხასიათდება, ვიდრე მისი ოპტიკური ანტიპოდი. წმინდა ისეთი მემთხვევებიც, როდესაც ერთი ენანციომერი ერთი ტიპის ფარმაკოლოგიურ ზემოქმედებას იჩენს, ხოლო მეორე განსხვავებულს. ცალკეულ შემთხვევებში ერთი ენანციომერი იჩენს სასურველ ფარმაკოლოგიურ მოქმედებას, ხოლო მეორე ენანციომერი კი ხასიათდება ტოქსიური თვისებებით. ზემოთ ხელნებულიდან გამომდინარე მოითხოვება, რომ ახალი ქირალური სამკურნალწამლო საშუალებათა ენანციომერები განიხილებოდეს როგორც განსხვავებული სუბსტანციები და ცალ-ცალკე შესწავლებოდეს მათი ფარმაკოლოგიური და ფარმაკოკინეტიკური თვისებები. საკითხის ასეთი დაყენება ენანციომერების დაყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემად აქცევს ფარმაცეტულ მრეწველობაში, რადგანაც დღისათვის გამოყენებული სამკურნაწამლო საშუალებათა ნახევარზე მეტი ქირალურ ნივთიერებებს წარმოადგენს.

ქირალური ფაზების გამოყენებით სითხურ ქრომატოგრაფიაში შესაძლებელია ენანციომერული ნარევების არა მარტო ანალიზური, არამედ პრეპარატული დაყოფაც. დღისათვის ლიტერატურაში აღწერილია 200-ზე მეტი ქირალური სტაციონარული ფაზა, ხოლო კომერციალიზებულია რამდენიმე ათეული მათგანი. კომერციულად მისაწვდომი ქირალური სტაციონარული ფაზებიდან პოლისაქარიდების ნაწარმები გამოიჩინება ქირალური გამოცნიბის უნივერსალური უნარით და ლიტერატურაში აღწერილი ენანციომერული დაყოფების 80%-ზე მეტი დღესძღვეობით ამ მასალების გამოყენებით ხორციელდება. ამ მოხსენებაში აღწერილი იქნება ახალი ტიპის პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების სინთეზის სტრატეგია ჩვენი კვლევების დასაწყისისათვის უკვე არსებული მასალების სპექტრალური და ფაზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევის საფუძველზე, ამ მასალების მიმართული სინთეზი, მათი სპექტრალური და ფაზიკურ-ქიმიური კვლევა და გამოყენება ენანციომერული ნარევების დასაყოფად სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდთ. გარდა ქირალური სელექტორის ოპტიმიზაციისა, მოკლედ იქნება აღწერილი აგრეთვე მოძრავი ფაზისა და ქრომატოგრაფიული სარჩეულის ოპტიმიზაციის მნიშვნელობა<sup>1-4</sup>. ტრადიციული სითხური

ქრომატოგრაფიის მეთოდი შედარებული იქნება ნივთიერებათა დაყოფის შედარებით ახალ, ელექტროქრომატოგრაფიულ მეთოდთან<sup>5,6</sup>.

**ლიტერატურა:**

- Chankvetadze B., Ikai T., Yamamoto C., Okamoto Y. *J. Chromatogr. A*, 2004, 1042, 1-2, 55-60.
- Chankvetadze B., Yamamoto C., Tanaka, N. Nakanishi K., Okamoto Y. *J. Sep. Sci.*, 2004, 27, 905-911.
- Chankvetadze B., Kubota T., Ikai T., Yamamoto C., Tanaka N., Nakanishi K., Okamoto Y. *J. Sep. Sci.*, 2006, 29, 13, 1988-1995.
- Chankvetadze B., Yamamoto C., Kamigaito M., Tanaka N., Nakanishi K., Okamoto Y. *J. Chromatogr. A*, 2006, 1110, 1-2, 46-52 .
- Fanali S., D’Orazio G., Lomsadze K., Chankvetadze B. *J. Chromatogr. B*, 2008, 875, 296-303.
- Fanali S., D’ Orazio G., Lomsadze K., Samakashvili Sh., Chankvetadze B. *J. Chromatography A*, 2009, accepted.

**ახალი სტილგენები *Yucca gloriosa* L. – დან და მათი  
გირლობილი აქტივობა**

**ე. ქემერტელიძე, მ. ბენიძე, ა. სხირტლაძე**

აოცულ ქუთათელადის სახელმისი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი



36 პ. სარაჯიშვილის თბილისი, 0159


*ether\_kemertelidze@yahoo.com*

აღმოსავლეთ საქართველოში სამრეწველო მასშტაბით კულტივირებული მცენარე *Yucca gloriosa* L. – ს ფესვების, ფესურების და ღერის ქერქებან გამოყოფილია ფენოლური ნივთიერებების ჯამი (10-12%), რომელგანც სტილბენური ჯგუფის 11 ნივთიერებაა აღმოჩენილი. გამოყოფილია ყველა ნივთიერება, რომელთა სტრუქტურები დადგენილია მაღალმდგრძნობაზე ერთ- და ორგანზომილებიანი ბმრ და მას-სპექტროსკოპით. ისინი სტილბენის რიცხვის იშვათით სპიროსტრუქტურის პოლიფენოლურ ნივთიერებებს წარმოადგენს. 6 მათგანი დახასიათებულია როგორც *Yucca schidigera* – დან ადრე გამოყოფილი სტილბენები: ტრანს-3,3',5,5'-ტეტრაპიდოროქსი-4'-მეთოქსისტილბენი და ოუკალები A, B, C, D, E. 5 დანარჩენი ახალი ორგანული ნივთიერებაა უფრო რთული სპიროსტრუქტურით, რომელთაც ჩვენ გლორიოზაოლები A, B, C, D და E უწერდეთ. მათი მოლეკულა γ-ლაქტონის შემცველი ფლოროგლუცინოლის ორი C<sub>15</sub> ფრაგმენტისაგან შედგება, რომლებიც ერთმნენთთან მეთოქსისტილბენით არიან შეერთებულინ. გლორიოზაოლები A და B დასატერეოიზომერებია C2 და C3 ნახტირბადის ატომებთან ტრანს მდგომარეობით; გლორიოზაოლი C ცის-, ხოლო D და E ტრანს მდგომარეობაში არიან.


*Yucca gloriosa*-ს ფენოლური ნივთიერებების ჯამი და ინდივიდუალური გლორიოზაოლები მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით ხასიათდებან. მათი TEAC (ტროლოქსის ექვივალენტი) 4.0-5.9 შეადგენს და 2-3-ჯერ აღემატება შესაძლებელ პრეპარატებს.

დადგენილია გლორიოზაოლების ანტიპროლიფერაციული და პრო-აპოპტოზური აქტივობა სიმსივნური უჯრედებისადმი MCF 7 (მკერდის კარცინომა), HepG 2 (ჰეპატობლასტომა) და U 937 (მონოციდური ლეიკემია). განსაკუთრებით მაღალი ეფექტურობით გლორიოზაოლი C გამოიჩინა.






გლორიოზალდი C



გლორიოზალდი D



გლორიოზალდი E

### ლიტერატურა:

1. Skhirtladze A., Kemertelidze E. et al. *Tetrahedron*, 2007, 63, 1, 148-154.
2. Skhirtladze A., Benidze M., Kemertelidze E. et al. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 2007, 55, 16, 6636-6642.
3. Skhirtladze A. et al. *Life Sciences*, 2007, 81, 873-883.
4. Skhirtladze A., Kemertelidze E. et al. *Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis*, 2008, 47, 854–859.

## ულავონიდები და ციკლოარტანები საქართველოს ულორაში

**მ. ალანა, ნ. ქავთარაძე, ქ. შალაშვილი, თ. საღარეიშვილი,**

### ე. ქემერტელიძე

თუკი ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი,

ქ. სარაჯიშვილის ქ. 36, თბილისი, 0159, საქართველო

*merialania@yahoo.com*

საქართველოში გავრცელებული და ინტროდუცირებული სახეობების წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ მათი უმრავლესობა (~80%) მდიდარია ფენოლური ნაერთებით, ~36% შეიცავს ტრიტეპრენულ საპონინებს – ციკლოარტენებს<sup>1</sup>. ამ ნაერთებით მდიდარი გვარების Astragalus, Trifolium, Hedizarum, Leucanthemum, Eupatorium, Salvia, Urtica, Geranium, Euphorbia, Pueraria, Ginkgo ღრმა ქმიტური კვლევებით გამოყოფილია და იდენტიფიცირებულია 436 ინდივიდი: ფენოლკარბონმჟავები, ჰიდროლიზებადი ტანინები, ფლავონოლები, ტრიტეპრენული გლიკოზიდები, სტერინები, ციკლოარტენები. მათი 75% შესწავლილი სახეობებიდან პირველადაა აღწერილი. 39 - სტრუქტურულად ახალი ნაერთია. ფლავონოლები: ასკაზიდ-კემპფეროლ-3-O-β-D-გალაქტოპირანოზილ-3',4'-დი-O-ა-L-რამნოპირანოზიდ; ასგალეზიდ-იზორამნეტინ-4'-O-β-D-გლუკოპირანოზიდ; იზო-ასტრუგალუვოზიდ - იზორამნეტინ-3,7-დი-0-β-D-გლუკოპირანოზიდ; ფლაგალოზიდი A-კერცეტინ-3-O-[გლუკო-გალაქტო-არაბო-რამნოზიდ]; ფლაგალოზიდი B- კერცეტინ-3-O-[გლუკო-გალაქტო-არაბო-ქსილო-რამნოზიდ]; ფლაგალოზიდი C - კერცეტინ-3-O-გლუკოპირანოზილ(6→1)-რამნოპირანოზილ-(3→1)ქსილოპირანოზიდ; ფლაგალოზიდი D - იზორამნეტინ-3-O-β-D-(2→1)ქსილოპირანოზილ-ქსილოპირანოზიდ; ფლაგალოზიდი A - კემპფეროლ-გლუკო-გალაქტო-არაბო-რამნოზიდ; ფლაგალოზიდი B - კემპფეროლ-3,7-0-[გლუკო-გალაქტო-დირამნოზიდ]; ფლაგალოზიდი C - კემპფეროლ-3-O-[გლუკო-გალაქტო-ქსილო-რამნი-პირანოზიდ]; ფლაგალოზიდი D - კემპფეროლ-3-O-[გლუკო-გალაქტო-არაბო-ქსილო-რამნი-პირანოზიდ]; მიკრანთოზიდი-ტრანს-2S,3R-7-მეთილდიპირო კემპფეროლ-5-β-D-გლუკოზიდ; ნეომიქრანთოზიდი - ტრანს-2S,3S-იზომერი; ნივაზიდი - 5,7,4'-ტრიპიროქსინ-8-[1-α-L-გლუკოპირანოზილ-(5→1) დეზოქსიკერციტილ-5]-ფლავონი; აზამიქროზიდი- მირიცეტინ-3-O-ა-L-დირამნოზიდი; პუსილაზიდი - კემპფეროლ-3-O-β-D-დიგალაქტოზიდო-ქსილოზიდი; ურტოზიდი-კემპფეროლ-3-O-ტრი-გალაქტოპირანოზიდი; ურტიციანინი 1 - პელარგონიდინ 3-O-გლუკო-დიგალა-ქტოზიდი; ურტიციანინი 2 - პელარგონიდინ-3-O-[ξ (განილილ)-ქსილოზილ-ξ-ქსილო-ზიდი; ურტიციანინი 3 - პელარგონიდინ-3-O-β-D-ქსილოზიდი; ტანინები: გლარეინი A - მოლეკულა აგებულია 2 გლუკოზის ნაშთისაგან, 2 მეგალინის ჯგუფისა და 2 გალის

მეცნიერება; გლარენი B – 2 (ან 6) – დიგალოილ, 6 (ან 2) გალოილ-О-β-D-გლუკოპირანოზიდი; გლარენი C – а-L-რამნიპირანოზილ-1,2-დიგალოილ-О-β-D-გლუკოპირანოზიდი; ჰუსილაგინი I – 1-O-გალოილ-3,6-დიპირიოქსიფენოლ-β-D-გალაქტოპირანოზიდი; ჰუსილაგინი II – მოლეკულა შედგება ფლავონოიდის, გალის, ელაგის მეჯვების, ქსილოზის ნაშეტებისან. ცალლოარტიკნები: ცალლო-გალეგიგენინი-20S, 24R-ეპოქსიციკლოარტან-3β, 6α, 16β, 25-ტეტრაოლი; ციკლოგალეგინოზიდი A – ციკლოგალეგიგენინ-3-0-β-D-(2'-O-აცეტილ)-ქსილოპირანოზიდი; ციკლო-გალეგინოზიდი B – ციკლოგალეგიგენინ-3-O-β-D-ქსილოპირანოზიდი; ციკლოგალეგინოზიდი C – ციკლოგალეგიგენინ-3-O-β-D-(2'-O-აცეტილ)-ქსილოპირანოზილ, 25-0-β-D-გლუკოპირანოზიდი; ცალლო-გალეგინოზიდი D – ციკლოგალეგიგენინ-3-0-β-D-ქსილოპირანოზილ, 25-0-β-D-გლუკოპირანოზიდი; ცაკლოსაკაულოზიდი A – ციკლო გალეგიგენინ-3-0-β-D-(0-აცეტილ)-გლუკოპირანოზილ-(6→1)-0-а-L-რამნიპირანოზიდი და მათი სინ-თეზური წარმოებულები. სტეროიდებიდან-დიგიტოზიდი A – 3-O-[β-ქსილოპირანოზილ-(1→4)-α-L-რამნიპირანოზილ]-28-O-[β-D-გლუკოპირანოზილ-(1→6)-β-D-გლუკოპირანოზილ] ოლევნოლის მეჯვა; დიგიტოზიდი B – 3-O-[რამნიპირანოზილ-(4→1)-β-D-ქსილოპირანოზილ]-ოლევნოლის მეჯვა; ოუკაგენინი – 25(R)-5a-სპიროსტან-3-ონი. ინდივიდების სტერუქტურა დადგენილია კვლევის თანამედროვე მეთოდებით. შემუშავებულია სტანდარტული ნიმუშები, აგრეთვე ფლავონოიდური ნაერთების დაყოფის, გასუფთავების, თვალსებითი და რაოდნობრივი ანალიზის მეთოდები; ინდივიდებისა და გასუფთავებული ექსტრაქტებისავის გამოვლენილია ანტიოქსიდანტური, ფუნგიციდური, ანტიაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო, ჰეპატოპროტექტორული, ჰიპოტენზიური, ჰიპოაზოტექტიმიური, დიურეზული, ლეიკოპორეზური, ჰიპოქოლესტერინეჭული, კარდიოტონული აქტივობები. გამოვლენილია ამ ნაერთებით მდიდარი ახალი ნედლეული, შესწავლილია მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (ბან) დაგროვების დინამიკა, შემუშავებულია ბან-ების და მათი ჯამების მიღების ტექნოლოგია. მრავალი მათგანი უკვე ჩანარიგილია სამედიცინო პრატეიკაში გამოსაყენებლად: ფლავონონი (ჰიპოაზოტექტიმიური და დიურეზული); სატურინი (ჰიპოგლიკემიური); სალბინი (კვებითი დანამატი ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის); სალბის ტაბლეტები (ზედა სასუნთქმა გზების დაავადებათა სამურნალო საშუალება); გინკგობათი (სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი); ნუნისი (ფეხის სამკურნალო ნელსაცხებელი); ხბომშებლას ბალაზი (ჰიპოგლიკემიური კვებითი დანამატი); ჭინჭრის ფესვებიდან მომზადებულია პრეპარატ „პროსტავინ ურტიკა ლიქვიდ“-ის ანალოგიური პრეპარატი.

#### ლიტერატურა:

- E. Kemertelidze, M. Alania, T. Sagareishvili, K. Shalashvili, N. Kavtaradze. *Planta medica*, 2009, 75, 9, 960

## მოდიფიცირებული სტერილები

### მ. სიხარულიძე, ნ. ნადარაია, მ. კახაბრიშვილი

თუკელ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი,

36 პ. სარაჯიშვილის ქ., თბილისი 0177, საქართველო

*docmadona@yahoo.com*

მაღალეფექტური სამკურნალო თვისებების მქონე ნაერთთა მიღება, მცენარეული წარმოშობის ნივთიერებების ქიმიური მოდიფიკაცია მათში ფარმაკოფორული ჯგუფების შეყვანის გზით, თანამედროვე ქიმიისა და ფარმაკოლოგიის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველოში კულტივირებული „Jucca gloriosa” – გან გამოყოფილი სტეროიდული საპოვნინის – ტიგოვენინის ჟანგვითი დეგრადაციით მიღებული პრეგნენოლონის აცეტატი ძირითადი საწყისი ნაერთთა 5α-ჰინფიგურაციის მქონე სტერიოდების მისაღებად. ამ ნაერთიდან მდგრადულია სხვადასხვა აღნაგობისა და ფუნქციური ჯგუფის შემცველი კეტოსტეროიდები, რომლებიც წარმოადგენენ ინტერმედიატებს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად. სინთეზირებულია ნაჯერი და უჯერი A ბირთვის შემცველი ამინები, მათი ქიმიური მიღითებული კაციით N-ალკილ- და N-დალკილწარმობულები, ქლორაცეტილმინტარმობულებში Cl-ის ატომის ნუკლეოფილური ჩანაცვლებით დიეთილამინო-, მორფოლინო-, პიპერაზინოჯგუფების შემცველი ნაერთები.

კეტოსტეროიდების და მოდიფიცირებული კეტოსტეროიდების ქიმიური ბუნება შესწავლილ იქნა კონდენსაციის რეაქციით. სინთეზირებულია სხვადასხვა აღნაგობის სტერიოიდული აზომეთინები.

შესწავლილია სინთეზირებულ ნივთიერებათა ბიოლოგიური აქტიურობა, ნაჩვენებია ბიოლოგიური აქტიურობისა და მათი სტრუქტურების ურთიერთკავშირი.

მოხსენებაში ნაწილობრივ გამოყენებულია საქართველოს ეროვნული სამცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის №GNSF/ST08/4-406 მასალები.

## АМИНОМЕТИЛИРОВАНИЕ ЭМОДИНА

**М. Сихарулидзе, Н. Надараиа, В. Вачнадзе, Т. Суладзе**

*Институт фармакохимии им. Иовела Кутателадзе,*

*ул. П. Сараджишвили 36, Тбилиси 0177, Грузия,*

*docmadona@yahoo.com*

Сочетание различных фармакофорных фрагментов в одной молекуле интересно в плане изучения их взаимного влияния на биологическую активность полученных соединений.

